# შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა № 1

## სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2015 წლის 2 ნოემბრის №96 ხელშეკრულებაზე

ქ. თბილისი,

13 ნოემბერი 2015 წელი

ერთის მხრივ სსიპ - საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის დავით ტყემალაძის სახით (შემდგომში - „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ შპს „თეგეტა მოტორსი“, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის თემურ კოხოძის მინდობილი პირის ვახტანგ ხანჯალიაშვილის სახით (შემდგომში - „მიმწოდებელი“), სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2015 წლის 2 ნოემბრის № 96 ხელშეკრულების მე-13 მუხლის 13.1 და 13.2 პუნქტებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შეტანილ იქნას ცვლილება 2015 წლის 2 ნოემბრის №96 ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.1 და 3.1.1 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

3.1 „ხელშეკრულების ღირებულებაა: **820.00** ლარი.“

რვაასოცი ლარი და ნული თეთრი

(თანხა სიტყვიერად)

3.1.1 „ერთეულის ღირებულება შეადგენს 410.00 ლარს.“

**2.** შეტანილ იქნას ცვლილება 2015 წლის 2 ნოემბრის №96 ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.1 პუნქტის ა) ქვეპუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

,, ა) შემსყიდველს სააგენტოს ბალანსზე რიცხული სატვირთო ავტომანქანისათვის (ზილ 130, სახ. ნომ. ADF-736) მიაწოდოს ორი ცალი საბურავი (NK9, 00R20 I –N142B pr12 136 J).“

**3.** შეტანილ იქნას ცვლილება ამავე ხელშეკრულების 8.1 პუნქტში და გაგრძელდეს წინამდებარე ხელშკრულების მე-8 მუხლის 8.2 პუნქტით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადა 11 (თერთმეტი) კალენდარული დღით და საქონლის მიწოდების ვადად განისაზღვროს 2015 წლის 16 ნოემბერი. შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2015 წლის 2 ნოემბრის №96 ხელშეკრულების მე-8 მუხლის 8.1 პუნქტში და ასევე 8.2 პუნქტში ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

8.1 ,, საქონლის მიწოდების ადგილი: ქ. თელავი

8.2 ,,საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 2015 წლის 16 ნოემბრის ჩათვლით.“

4. გაგრძელდეს წინამდებარე ხელშკრულების მე-9 მუხლის 9.1 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების მოქმედების ვადა 9 (ცხრა) კალენდარული დღით და ხელშეკრულების მოქმედების ვადად განისაზღვროს 2015 წლის 16 დეკემბერი. შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2015 წლის 2 ნოემბრის №96 ხელშეკრულების მე-9 მუხლის 9.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1-48 13/11/15

9.1 ,, წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 16 დეკემბრის ჩათვლით".

5. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმადგენლების ხელმოწერის დღიდან და წარმოადგენს სსიპ - საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოსა და შპს ,,თეგეტა მოტორსი"-ს შორის 2015 წლის 2 ნოემბერს გაფორმებული N96 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ერთი ეგზემბლარი ,,შემსყიდველს", ერთი ეგზემპლარი ,,მიმწოდებელს")

მხარეთა ხელმოწერა:

სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო

დავით ტყემალაძე

შპს „თეგეტა მოტორსი"

ვახტანგ ხანჯალიაშვილი

№0017
05.01.2015 წ

# მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

შპს „თეგეტა მოტორსის" გენერალური დირექტორი თემურ კოხოძე ენდობა ამავე საზოგადოების თელავის ფილიალის დირექტორს ვახტანგ ხანჯალიაშვილს (პირადობის მოწმობა №8 1154625) მასზედ, რომ მას აქვს უფლება ხელი მოაწეროს საქონლის და მომსახურების მიწოდების, ნარდობის, მომსახურების ხელშეკრულებებზე, ასევე უფლება აქვს იყოს საზოგადოების წარმომადგენელი საჯარო რეესტრში. მინდობილი პირის სახელით ხელი მოაწეროს იჯარის ხელშეკრულებას, შეწყვიტოს, ვადა გააგრძელოს ან შეიტანოს ცვლილება მასში. შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია აღნიშნული დავალების განხორციელებასთან.

მინდობილობა ძალაშია 2015 წლის 5 იანვრიდან 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

პირადი ხელმოწერა (ვახტანგი ხანჯალიაშვილი).........................................................

პირადი ნომერი 20001005887

მისამართი: თელავი, სოლომონის II შეს. №17

მოწმობის გამცემი ორგანოს დასახელება: სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თელავის სამსახური

გაცემის თარიღი:02.06.2008წ

ამტკიცებს,
შპს"თეგეტა მოტორსის"
გენერალური დირექტორი

თემურ კოხოძე